ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"ჩოხატაურისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზედა განვმარტავთ შემდეგს:

2018 წლის 1 იანვრისათვის დარჩა ნაშთი **2 749,9** ათასი ლარი, მ.შ. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27დეკემბრის N2712 განკარგულებით ,,სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის" – 2 500,0 ათასი. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით 155,7 ათასი ლარი რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N824 განკარგულებით 52,6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებით 2,6 ათასი ლარი და მიიმართება შენობების ტექნიკური პასორტების, მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნების ხარჯებზე.

საბიუჯეტო სახსრებიდან თავისუფალმა ნაშთმა შეადგინა 39,0 ათასი ლარი, აქედან 25.0 ათასი ლარი მიიმართება კეთილმოწყობის ღონძიებებზე, 7.8 ათასი ლარი სამხედრო სამსახურის გასული წლის პრემიისთვის ვალდებულების კლების მუხლიდან, ხოლო დარჩენილი 6.2 ათასი ლარით გაიზრდება მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების მუხლი.

ასევე, განხორციელდება მუხლობრივი ცვლილებები კერძოდ: შემცირდება საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლი 44.9 ათასი ლარით და გაიზრდება შრომის ანაზღაურების მუხლი, შემცირდება ასევე მერიის საქონელი და მომსახურების მუხლი 299.7 ათასი ლარით და გაიზრდება შრომის ანაზღაურების მუხლი.

აღნიშნულის შედეგად 2018 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა გახდება 9 078,8 ათასი ლარი.

თან წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14, დანართებით.

პატივისცემით,

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა